**განმარტებითი ბარათი**

**საკრებულოს დადგენილების პროექტზე**
**„თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**

***ძირითადი საპროგნოზო მაჩვენებლები***

**შემოსულობების პროგნოზი**

**საგადასახადო** შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს და 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 22956,0 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3066,0 ათასი ლარით.

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➢ ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია (900,0 ათასი ლარით) და განისაზღვრება 5 000,0 ათასი ლარით;

➢ 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დამატებული ღირებულების გადასახადი გაზრდილია (2166,0 ათასი ლარით) და განისაზღვრება 17956,0 ათასი ლარის ოდენობით;

**გრანტების** სახით (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მისაღები შემოსავლები) დაგეგმილი მაჩვენებლების პროგნოზი 310,0 ათასი ლარის შეადგენს;

**სხვა შემოსავლების** დაგეგმილი პროგნოზი განისაზღვრება 2540,1 ათასი ლარით, მათ შორის:

➢ პროცენტები 500,0 ათასი ლარი;

➢ რენტა 442,0 ათასი ლარი, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -250,0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -192,0 ათასი ლარი;

➢ სანებართვო მოსაკრებლები 13,0 ათასი ლარი;

➢ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,8 ათასი ლარი;

➢ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 144,0 ათასი ლარი;

➢ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 200,0 ათასი ლარი;

➢ შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან) 54,0 ათასი ლარი;

➢ შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1100,0 ათასი ლარის ოდენობით;

➢ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 86,3 ათასი ლარით;

**არაფინანსური აქტივების კლების** სახით მისაღები თანხების პროგნოზი განისაზღვრება 2422,0 ათას ლარით;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 28228,10 ათას ლარს.

## მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 28254,0 ათას ლარს.

თელავის მუნიციპალიტეტის საერთო ასიგნება გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ხარჯები - 24804,90 ათასი ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 4207,80 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 6262,20 ათასი ლარი; აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება როგორც თვითმმართველობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები, აგრეთვე, სახელშეკრულებო წესით შესასრულებელი სხვადასხვა სახის მიმდინარე სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა, როგორიცაა მუნიციპალიტეტში არსებული გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობის და ელექტროენერგიის ღირებულების ხარჯები; წყალმომარაგების სისტემის მიმდინარე შეკეთების და ელექტროენერგიის ღირებულების ხარჯები; მუნიციპალიტეტის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიებების ხარჯები; საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა- პატრონობა; საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; სასმელი წყლების ლაბორატორიული შემოწმების ხარჯები; ჩამდინარე წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა; გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; სასმელი წყლის „სოკო“-ების მოვლა-შენახვის ხარჯი; გარემოს დაცვის ღონისძიებები; სპორტის განვითარების ხელშეწყობის, კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის, ძეგლთა დაცვის ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა. აღნიშნული მუხლის ფარგლებში აგრეთვე დაგეგმილია „სარეზერვო ფონდი“, რომელიც განისაზღვრება - 150.0 ათასი ლარით და რომლის ხარჯვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. პროცენტების მუხლი - 435,0 ათასი ლარი, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის დასაფარად. სუბსიდიების მუხლი განისაზღვრება - 11233,50

ათასი ლარით, საიდანაც თვითმმართველობა სუბსიდირების სახით აფინანსებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს,რომელიც სუბსიდიის მუხლით დაფინანსების ყველზე დიდ ნაწილს წარმოადგენს, პროფესიულ განათლებას, კულტურულ და სპორტულ მიმართულებებს, აგრეთვე ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს. სუბსიდირების მუხლით ხდება სოციალური მიმართულებით გათვალისწინებული უფასო კვების პროგრამის დაფინანსება, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა სახის ღონისძიებების დაფინანსება. გრანტები - 50,0 ათასი ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 1770,20 ათასი ლარი ძირითადად, განკუთვნილია სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის - მ.შ. მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა სხვადასხვა ფენის ელექტროენერგიის გადასახადზე თანადაფინანსებისათვის, სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამების დაფინანსებისათვის, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის შედეგად შშმ პირების შვილების ყოველთვიურ დახმარებისათვის, სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა სახით დახმარების პროგრამების დაფინანსებისათვის, ახალშობილი და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის და სხვა. სხვა ხარჯების მუხლი - 846,20 ათასი ლარი, რომლის ძირითადი, უმეტესი ნაწილი განკუთვნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად. სპორტის, კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების, ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებელად და სხვა.

- არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრება - 3325,80 ათასი ლარით, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად (საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, წყალმომარაგების ღონისძიებები, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია და სხვა);
- ვალდებულებების კლების მუხლი განისაზღვრება - 123,3 ათასი ლარით, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული 2022 წელს გადასახდელი სესხის ძირის დაფარვისათვის.

➢ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებების დაფინანსება განისაზღვრა - 8729,4 ათასი ლარის ოდენობით; მათ შორის:

- ✓ გზების კაპიტალური შეკეთება - 909,90 ათასი ლარი, საიდანაც განხორციელდება ქ.თელავში თბილისის ქუჩაზე, იყალთოს ქუჩაზე და კვირიკე პატარის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა, მშვიდობის ქუჩის ერთი მონაკვეთის, მუსხელიშვილის ქუჩის, ქ. თელავში სხვადასხვა ჩიხების რეაბილიტაცია, სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა/გადაფასება და სხვა. (2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება);
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთება - 350,0 ათასი ლარი (თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებულია და აუცილებელ აღდგენით სამუშაოებს მოითხოვს რიგი მოასფალტებული ქუჩები, კერძოდ, ორმოული/ეკრანული შეკეთება განხორციელდება სავარაუდოდ 10500 კვ.მ. ფართზე.
- ✓ საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - 188,60 ათასი ლარი, აქედან
  - საგზაო ნიშნების, ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგების და მოვლა-პატრონობის, ქუჩების ჰორიზონტალური მონიშვნა, შუქნიშნების მოვლა-პატრონობა - 70,0 ათასი ლარი;
  - ზამთრის პერიოდში ქუჩების და ტროტუარების თოვლისგან გაწმენდის ღონისძიებები- 20,0 ათასი ლარი;
  - ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა - 23,60 ათასი ლარი;
  - გზებზე შემზღუდავი ბარიერების მოწყობა - 75,0 ათასი ლარი;

- ✓ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 317,0 ათასი ლარი, განხორციელდება
  - ჭაბურღილების ტექნიკური მომსახურება - 250,0 ათასი ლარი;
  - 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება და შესაბამისი საზედამხედველო მომსახურება, (სოფ. ვარდისუბნის სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია და ახალი სათავე ნაგებობის მოწყობა, სოფ. რუისპირში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური წყალსადენის და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა), საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა/გადაფასება და სხვა - 67,0 ათასი ლარი;
- ✓ სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია - 1260,0 ათასი ლარი, აქედან:
  - მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთება - 350,0 ათასი ლარი;
  - სასმელი წყლის ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის ანაზღაურება - 900,0 ათასი ლარი;

- ბუნებრივი წყაროების ლაბორატორიული შემოწმება - 10,0 ათასი ლარი;
- ✓ ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები - 300,0 ათასი ლარი. მათ შორის
  - არსებული ნიაღვარმიმღებების მოვლა-პატრონობა -130,0 ათასი ლარი,
  - ახალი ნიაღვარმიმღებების მოწყობა - 170,0 ათასი ლარი (მოეწყობა სოფ. კურდღელაურში და ქ, თელავში, ბათუმის ქუჩაზე);
- ✓ გარე - განათების ქსელის ექსპლოატაცია - 1250,0 ათასი ლარი, აქედან
  - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ტექნიკური მომსახურება - 250,0 ათასი ლარი;
  - გახარჯული ელ. ენერგიის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებულია 1000,0 ათასი ლარი;
- ✓ გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობა -250,0 ათასი ლარი

- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება - 600,0 ათასი ლარი;
- ✓ ბინათმშენებლობის ღონისძიებები -337,1 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება - 250,0 ათასი ლარი, აღნიშნულით გათვალისწინებულია საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების (წესი) შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების თანადაფინანსება;
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის 87,1 ათასი ლარი, 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსებისათვის და საზედამხედველო მომსახურებისათვის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაფასებისათვის;
- ✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 735,0 ათასი ლარი, მათ შორის:
  - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები - 105,0 ათასი ლარი, (ქ. თელავში ჭადრის ხის ფიტოსანიტარული და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვადასხვა მცირე სახის შესასრულებელი სამუშაოების განსახორციელების მიზნით საწვავით უზრუნველყოფა, თელავის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელებში მუნიციპალიტეტის აღმნიშვნელი ბანერების მოწყობა).
  - სასმელი წყლის „სოკო“ – 5,0 ათასი ლარი;
  - სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები -625,0 ათასი ლარი (2022 წელს სრიგპ-ის ფარგლებში გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება);
- ✓ სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - 70,0 ათასი ლარი;
- ✓ საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები -18,5 ათასი ლარი
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები - 239,0 ათასი ლარი (თანადაფინანსება);
- ✓ სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 180,0 ათასი ლარი, განხორციელდება სოფ. ართანაში მდინარე ,,დიდხევში" ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის სამუშაოების დაფინანსება;
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები - 1000,0 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების უზრუნველყოფა);
- ✓ გარემოს დაცვის ღონისძიებები -70,8 ათასი ლარი, აქედან:
  - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრის და ვარჯის ფორმირების სამუშაოების დაფინანსება - 25,0 ათასი ლარი;
  - ხევების გაწმენდითი სამუშაოები (სოფ. კურდღელაურში „უსახელო ხევის“ გაწმენდა) – 45,8 ათასი ლარი;
- ✓ პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 100,0 ათასი ლარი;
- ✓ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა - 76,0 ათასი ლარი, განხორციელდება ქ. თელავში N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. სოფ. ქვ. ხოდაშენის და სოფ.

კონდოლის ბაგა-ბაღების  სრული რეაბილიტაცია (2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება და საზედამხედველო მომსახურება);

- ✓ სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - 170,0 ათასი ლარი
  - ▪ ქ. თელავში ბათუმის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობა საზედამხედველო მომსახურებით - 170,0 ათასი ლარი;
- ✓ ძეგლთა დაცვის ღონისძიებები - 207,5 ათასი ლარი;
- ✓ დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა - 100,0 ათასი ლარი (ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია, კავკასიონის ქუჩაზე არსებული მწვანე ზოლის, ყოფილი „საყვავილე“-ს ტერიტორიის კეთილმოწყობა).

➢ განათლება - 6195,40 ათასი ლარი, (ინფრასტრუქტურული ღონისძიებისთვის გათვალისწინებული დაფინანსების გარეშე, იხ. ინფარსტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება)

მათ შორის:

- ✓ სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება - 6082,10 ათასი ლარი
- ✓ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება - 113,3 ათასი ლარი

➢ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4027,8 ათასი ლარი, (ინფრასტრუქტურული ღონისძიებისთვის გათვალისწინებული დაფინანსების გარეშე, იხ. ინფარსტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება)

მათ შორის:

- ✓ სპორტის სფეროს განვითარება  - 1660,3 ათასი ლარი
  - ✓ სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა - 1530,80 ათასი ლარი, აქედან:
    - ▪ ა(ა)იპ-თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება-190,2 ათ.ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი - 304,60 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი - 620,0 ათასი ლარი;
    - ▪ ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი - 416,0 ათასი ლარი;
  - ✓ სპორტული ღონისძიებები  -129,5 ათასი ლარი
- ✓ კულტურის სფეროს განვითარება -2195,0 ათასი ლარი. მათ შორის:
  - ✓ კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 2097,40 ათასი ლარი, აქედან
    - ▪ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი - 120,0 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა - 130,0 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა -120,0 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა - 95,30 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება” -292,0 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - 1008,2 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი - 70,0 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა - 67,50 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა - 133,0 ათასი ლარი;
    - ▪ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა -61,40 ათასი ლარი;
  - ✓ კულტურული ღონისძიებები - 97,60 ათასი ლარი;
- ✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა 132,50 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება - 82,50 ათასი ლარი;
  - ✓ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა - 50,0 ათასი ლარი;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა - 40,0 ათასი ლარი;

➢ ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -2817,2 ათასი ლარი;

- ▪ ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი  -140,0 ათასი ლარი
- ▪ ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 40,0 ათასი ლარი, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა დახმარების პროგრამა (სამედიცინო პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსებისათვის);
- ▪ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ  შვილების სოციალური დაცვა -7,8 ათასი ლარი;

- სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება -400,0 ათასი ლარი, (ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის პროგრამა);
- უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება - 718,0 ათასი ლარი;
- ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები - 10,0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 240,0 ათასი ლარი (მ.შ. მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც 4 და მეტი 18 წლამდე ბავშვია) ყოველთვიური დახმარება), ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) ერთჯერადი ფულადი დახმარება, სოციალურად დაუცველი ოჯახების 0- დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა (2 თვე)) და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის თანადაფინანსება);
- ვეტერანთა საზოგადოება - 4,0 ათასი ლარი
- მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები - 145,0 ათასი ლარი, (მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, თხევადი გაზით დახმარების პროგრამა, კომუნალური გადასახადების (ელ. ენერგიის) თანადაფინანსების პროგრამა;
- დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები - 120,0 ათასი ლარი (დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა);
- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები - 40,0 ათასი ლარი;
- სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები -855,0 ათასი ლარი (აქედან 5,0 ათ.ლარი - სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) აღსაზრდელების სტომატოლოგიური მომსახურებაზე დახმარება);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა 80,0 ათასი ლარი (მ.შ. ააიპ „ალტერ ეგო"-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, თანადაფინანსება; „სიდა"-ს (საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია) შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის თანადაფინანსება; ბავშვთა ადრეული განვითარების (მუსიკათერაპია) პროგრამის დაფინანსება; თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული/კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელ ბავშვთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება).
- 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება - 2,4 ათასი ლარი;
- „საქართველოს წითელი ჯვარი"-ს თანადაფინანსება - 15,0 ათასი ლარი.

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 6484,20 ათასი ლარი,

  აქედან:
  - სარეზერვო ფონდი - 150,0 ათასი ლარი;
  - მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა -558,30 ათასი ლარი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის და ძირითადი თანხის დასაფარად
  - ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი -50,0 ათასი ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6170,0 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 190,9 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2853,50 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1370,8 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3951,60 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 140,0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 4505,30 ათასი ლარი;*
- *განათლება - 6271,40 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 2677,20 ათასი ლარი.*